



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 282
14/08/2020

282-02-4-202008141659



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, იმავე კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდეს კონკურსი ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ინფრასტრუქტურის საკითხებში თანამდებობაზე.
2. კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისია.
3. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი კახაბერ მარგებაძე.
4. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველყოფა დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულს - ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.
5. ბრძანების შესახებ ეცნობოს კახაბერ მარგებაძეს და მე-4 პუნქტში მითითებულ მეორად სტრუქტურულ ერთეულს.
6. ბრძანების გაცნობის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოში (მის: ქ. საგარეჯო, ჯაფარიძის ქ.№4).

გიორგი ერბოწონაშვილი



მუნიციპალიტეტის მერი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია